

ძირითადი საქმიანობა

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2009 წლის 27 მაისს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვ. დოლიძის ქ. N2. კომპანიის დამფუძნებელი არის 5 ფიზიკური პირი: გელა ჩადუნელი - 50.1%, დავით სიჭინავა - 15%, ნინო გურგენიძე - 4.9%, დავით გოგოჭური - 15%, ვლადიმერ ჩიტაია - 15%.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობა და საგადასახადო კონსულტირება.

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფს“ გააჩნია სამი შვილობილი კომპანია.

შპს „ეფემჯი სოფტ“ - დაფუძნდა 2010 წლის 19 მარტს. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვ. დოლიძის ქ. N2. კომპანიის 65%-იან წილს ფლობს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული მომსახურება.

შპს „ეფემჯი კონსულტანტი“ - დაფუძნდა 2010 წლის 19 მარტს. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვ. დოლიძის ქ. N2. კომპანიის 65%-იან წილს ფლობს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბუღალტრო/საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

შპს „ეფემჯი ლეგალ“ - დაფუძნდა 2010 წლის 27 ოქტომბერს. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი ვ. დოლიძის ქ. N2. კომპანიის 55%-იან წილს ფლობს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

დანართებში მოცემულია ჯგუფის 2019 წლის ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების მოძრაობის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულადი ექვივალენტები

	01.01.2019	31.12.2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	254 743	175 571
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	321 814	552 760
ნაღდი ფული სალაროში	2 712	2 000
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	2 712	2 000
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	579 269	730 331

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა დამკვეთს მიაწოდა გარკვეული სახის საქონელი/მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს. მოთხოვნები ასევე მოიცავს მოთხოვნებს საწარმოს პერსონალის მიმართ, საგადასახადო აქტივებს და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს.

მოთხოვნები

	01.01.2019	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	1 034 144	1 027 592
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	39 314	60 624
წინასწარ გადახდილი გადასახადები	48 356	128 399
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7 679	5 764
სულ მიმდინარე მოთხოვნები	1 129 493	1 222 378

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	01.01.2019	31.12.2019
საქონელი	130 534	139 700
საწვავი	11 109	21 344
სულ სასაქონლო- მატერიალური მარაგები	141 643	161 044

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვდის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- კავშირგაბმულობის საშუალებები 5-10
- ოფისის აღჭურვილობა 5-10
- კომპიუტერული ტექნიკა 5-10
- ავეჯი და ინვენტარი 5-10
- სატრანსპორტო საშუალებები 5

	მიწის ნაკვეთი	შენობები	კავშირგაბმულობის საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფ. მოწყ.
ბალანსი 01/01/2018	30 520	976 091	47 757	66 405	125 484	816 269	169 257
აკუმულირებული ცვლათა ბალანსი 01/01/2018		(261 812)	(14 866)	(47 829)	(106 469)	(373 003)	(122 940)
	30 520	714 279	32 891	18 576	19 015	443 267	46 317
დანამატები			5 590	4 673	7 066	288 742	32 469
აქტივების ჩამოწერა						(21 749)	
ცვლათა პერიოდისათვის		(48 534)	(10 080)	(8 240)	(14 042)	(108 605)	(20 394)
ჩამოწერილი აქტივების ცვლათა ბალანსი 31/12/2018	30 520	665 745	28 401	15 008	12 038	623 404	58 393
დანამატები				1 660	1 626	6 470	28 477
აქტივების ჩამოწერა						(17 918)	
ცვლათა პერიოდისათვის		(48 489)	(9 849)	(6 490)	(5 260)	(153 494)	(21 962)
ჩამოწერილი აქტივების ცვლათა ბალანსი 31/12/2019	30 520	617 256	18 552	10 178	8 405	469 042	64 908
ბალანსი 31/12/2017	30 520	714 279	32 891	18 576	19 015	443 267	46 317
ბალანსი 31/12/2018	30 520	665 745	28 401	15 008	12 038	623 404	58 393
ბალანსი 31/12/2019	30 520	617 256	18 552	10 178	8 405	469 042	64 908

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

პროგრამული უზრუნველყოფა	
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 01/01/2018	30 183
აკუმულირებული ცვეთა	(11 735)
დანამატი	3 880
ცვეთა პერიოდისათვის	(4 382)
ბალანსი 31/12/2018	17 947
დანამატი	2 751
ცვეთა პერიოდისათვის	(2 122)
ბალანსი 31/12/2019	18 576
ბალანსი 01/01/2018	18 449
ბალანსი 31/12/2018	17 947
ბალანსი 31/12/2019	18 576

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადასახადები.

კრედიტორული დავალიანება

	01.01.2019	31.12.2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან		
წარმოქმნილი ვალდებულებები	16 260	41 746
გადასახდელი ხელფასები	91 819	115 868
სულ მიმდინარე ვალდებულებები	108 079	157 614

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. ჯგუფს საანგარიშო პერიოდში გააჩნია მცირე რაოდენობით სასესხო ვალდებულებები ფიზიკური პირის მიმართ. აღნიშნული სესხები არის სხვადასხვა ლარში, 1 წლამდე დაფარვის ვადით.

მოკლევადიანი სესხები

	01.01.2019	31.12.2019
მოკლევადიანი სესხები	4 000	4 000
სულ მოკლევადიანი სესხები	4 000	4 000

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში ჯგუფში გამოცხადებული და განაწილებული დივიდენდი არის 190 000 ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	6 049 960
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(76 747)
სულ წმინდა შემოსავალი	5 973 213

ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის
ჯგუფი
დოლიძის ქ. 2
თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 36 33 11
ფაქსი: (995) (32) 36 44 55
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
LTD
2 Dolidze Str.
Tbilisi, Georgia
tel.: (995) (32) 36 33 11
fax: (995) (32) 36 44 55
e-mail: info@fmg.ge

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31.12.2019
რეკლამის ხარჯი	4 741
საწვავის ხარჯი	58 185
სამეურნეო ხარჯი	15 931
საწევრო	20 602
კომუნალური ხარჯი	28 417
საკანცელარიო ხარჯი	10 710
კომპიუტერის ხარჯი	4 749
საკონსულტაციო ხარჯი	100 970
საბანკო ხარჯი	5 179
კავშირგაბმულობის ხარჯი	41 432
მივლინების ხარჯი	14 431
ავტომობილის შენახვის ხარჯი	21 898
დაზღვევის ხარჯი	23 377
წარმომადგენლობითი ხარჯი	43 311
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	154 705
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	548 636



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის
ჯგუფი
დოლიძის ქ. 2
თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 36 33 11
ფაქსი: (995) (32) 36 44 55
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
LTD
2 Dolidze Str.
Tbilisi, Georgia
tel.: (995) (32) 36 33 11
fax: (995) (32) 36 44 55
e-mail: info@fmg.ge

დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2018	01.01.2019	31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	486 798	579 269	730 331
დებიტორული დავალიანება	1 065 417	1 034 144	1 027 592
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3 633	39 314	60 624
საქონელი, ნედლეული და მასალები	143 775	141 643	161 044
წინასწარ გადახდილი გადასახადები	32 510	48 356	128 399
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14 163	7 679	5 764
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-	-
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	-	-	-
ჯამურად მიმდინარე აქტივები	1 746 297	1 850 404	2 113 753
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	1 304 864	1 433 509	1 218 861
არამატერიალური აქტივები	18 449	17 947	18 576
ჯამურად გრძელვადიან აქტივები	1 323 313	1 451 456	1 237 437
სულ აქტივები	3 069 609	3 301 860	3 351 190
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	31 696	16 260	41 746
გადასახდელი ხელფასები	45 588	91 819	115 868
საგადასახადო ვალდებულებები	70 806	33 820	17 039
მოკლევადიანი სესხები	6 000	4 000	4 000
სულ ვალდებულებები	154 090	145 899	178 653
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10 620	10 620	10 620
წინა წლების გაუნაწილებელი			
მოგება/დაუფარავი ზარალი	2 186 893	2 714 900	2 698 680
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	718 006	430 441	463 237
სულ კაპიტალი	2 915 520	3 155 961	3 172 537
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3069609	3301860	3351190

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარშგება

	2018	2019
შემოსავლები რეალიზაციიდან	5 677 373	6 049 960
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(98 708)	(76 747)
მთლიანი მოგება	5 578 666	5 973 213
ცვეთის ხარჯი	(214 277)	(247 665)
სახელფასო ხარჯები	(4 294 753)	(4 743 620)
საიჯარო ხარჯი	(1 250)	-
საოპერაციო ხარჯები	(648 504)	(548 636)
სულ საოპერაციო ხარჯები	(5 158 784)	(5 539 922)
საპროცენტო შემოსავლები	1 166	7 004
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5 440	15 753
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1 000	(838)
არასაოპერაციო ხარჯი	(8 050)	(4 835)
კურსთაშორის სხვაობა	21 614	12 861
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	21 170	29 946
მოგება დაბერგვრამდე	441 052	463 237
მოგების გადასახადი	(10 610)	
წმინდა მოგება	430 441	463 237

დანართი 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	430 441	463 237
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	(214 277)	(247 665)
საკურსო სხვაობით მიღებული შედეგები	(21 614)	(12 861)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	194 551	202 711
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	27 358	7 555
ცვლილებები თანამშრომელთა მოთხოვნებში	(35 681)	(21 316)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	2 132	(19 401)
ცვლილებები გადასახადებში	(15 845)	(80 043)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	6 753	1 915
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	3 963	25 428
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	46 231	24 049
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(36 986)	(16 781)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	192 475	124 118
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	81 250	460 191
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	4 884	1 494
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	86 134	461 685
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(190 000)	(446 661)
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში	(2 000)	-
კაპიტალის სხვა ცვლილება		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(192 000)	(446 661)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	5 862	11 922
ფული და ფულადი ექვივალენტის წესო ცვლილება	92 470	151 063
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	486 798	579 269
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	579 269	730 331

გელა ჩადუნელი

30.09.2020

დანართი 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	430 441	463 237
კორექტირება:		
ცვითის ხარჯი	(214 277)	(247 665)
საკუროს სხვაობით მიღებული შედეგები	(21 614)	(12 861)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	194 551	202 711
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	27 358	7 555
ცვლილებები თანამშრომელთა მოთხოვნებში	(35 681)	(21 316)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	2 132	(19 401)
ცვლილებები გადასახადებში	(15 845)	(80 043)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	6 753	1 915
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	3 963	25 428
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	46 231	24 049
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(36 986)	(16 781)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	192 475	124 118
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	81 250	460 191
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	4 884	1 494
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	86 134	461 685
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(190 000)	(446 661)
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში	(2 000)	-
კაპიტალის სხვა ცვლილება		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(192 000)	(446 661)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	5 862	11 922
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	92 470	151 063
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	486 798	579 269
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	579 269	730 331

გელა ჩადუნელი

30.09.2020

